ნახ. 13 - ა ნაჩვენებია შუამავლების გამოყენების ეფექტურობა. 1-ა ნახატზე წარმოდგენილია სამი მეწარმე. თითოეული მათგანი სამ მყიდველთან მისაახლოებლად პირდაპირ მარკეტინგს იყენებს. ეს სისტემა ცხრა განსხვავებულ კავშირს მოითხოვს. 13-ბ ნახატზე ნაჩვენებია სამი მეწარმე, რომლებიც ერთ დისტრიბუტორთან (შუამავალთან) მუშაობენ. ის კი, თავის მხრივ მყიდველს უკავშირდება. ეს სისტემა მხოლოდ ექვს განსხვავებულ კავშირს მოითხოვს.

შუამავლები ამგვარად ამცირებენ იმ სამუშაოს მოცულობას, რომელიც როგორც მეწარმემ, ისე მომხმარებელმა უნდა შეასრულოს.



ნახ 13-ა. საკონტაქტო პირების რაოდენობა დისტრიბუტორის გარეშე

$$(M \times C = 3 \times 3 = 9)$$



ნახ. 13-ბ. საკონტაქტო პირების რაოდენობა დისტრიბუტორთან ერთად

$$(M + C = 3 + 3 = 6)$$

ეკონომიკის პრინციპიდან გამომდინარე, მარკეტინგული შუამავლების როლი გულისხმობს მწარმოებლის მიერ შექმნილი პროდუქტის ასორტიმენტის გარდაქმნას მომხმარებლის სურვილის შესაბამისად. მწარმოებლები ქმნიან პროდუქტის მცირე ასორტიმენტს დიდი რაოდენობით, მომხმარებელს კი სურს პროდუქტის ფართო ასორტიმენტი მცირე რაოდენობით.

არხის, როგორც მთლიანი სისტემის კარგად ფუნქციონირებისათვის საჭიროა თითოეული წევრისთვის განსაკუთრებული ადგილის მინიჭება და არხის კონფლიქტის მართვა. არხის უკეთეს მუშაობას განაპირობებს ის ფორმა, სააგენტო ან მექანიზმი, რომელსაც ფუნქციების განაწილებისა და კონფლიქტის მართვის ძალა აქვს.

ისტორიულად, ტრადიციულად სადისტრიბუციო არხს ასეთი ხელმძღვანელობა და ძალაუფლება არ ჰქონდა. ამას შედეგად კონფლიქტი და შემოსავლების სუსტი მაჩვენებლები მოსდევდა.


სადისტრიბუციო არხის გამოკვეთილი განვითარების ერთ-ერთ მაჩვენებელს ვერტიკალური მარკეტინგული სისტემის წარმოქმნა წარმოადგენს, რომელსაც არხის ხელმძღვანელობა უზრუნველყოფს.

ნახ. 13 - ბი წარმოდგენილია არხის მოწესრიგების ორი განსხვავებული გზა. ტრადიციული სადისტრიბუციო არხი შედგება ერთი ან მეტი დამოუკიდებელი მწარმოებლისაგან, საბითუმო ან საცალო მოვაჭრისაგან. თითოეული ცდილობს კუთვნილი მოგება მაქსიმალურად გაზარდოს, მაშინაც კი, როცა ეს მთლიანი სისტემის ხარჯზე ხდება. არხის არც ერთი წევრი სხვა წევრზე მეტ კონტროლს არ ფლობს და ფუნქციების განაწილებისა და არხის პრობლემის გადაჭრისათვისათვის რაიმე ფორმალური მიზეზი არ არსებობს.


ამის საპირისპიროდ კი, ვერტიკალური მარკეტინგული სისტემა (ვმს) არის განაწილების არხის სტრუქტურა, როდესაც მწარმოებლები, ბითუმად და საცალოდ მოვაჭრეები ერთიანი სისტემით მოქმედებდნენ. არხის ერთი წევრი, რომელიც სხვა წევრებზე ფლობს გავლენას, მათთან სათანადო ხელშეკრულების გაფორმებითა და თანამშრომლობის პრინციპის დანერგვით ახდენს არხის კოორდინირებულ ფუნქციონირებას. ვერტიკალურ მარკეტინგულ სისტემაზე გავლენის მოხდენა შეუძლია მწარმოებელს, საცალო და ბითუმად მოვაჭრეს.

არსებობს ვერტიკალური მარკეტინგული სისტემის სამი ძირითადი ტიპი: კორპორაციული, ხელშეკრულებითი და ადმინისტრირების. არხში ხელმძღვანელობისა და ძალაუფლების მოპოვებისთვის თითოეული მათგანი სხვადასხვა საშუალებებს იყენებს. ჩვენ უპირატესობას მხოლოდ კორპორაციულ ტიპს ვანიჭებთ.


კორპორაციული ვმს წარმოადგენს წარმოადგენს დისტრიბუციის თანმიმდევრული ეტაპების ერთობლიობას ერთი მმართველი ორგანიზაციის ქუდის ქვეშ (ან ეგიდით). რეგულარული ორგანიზაციული არხების საშუალებით შესაძლებელი ხდება კოორდინაცია და კონფლიქტის მართვა. მაგალითად, კროგერი, გასტრონომიული ბიზნესის გიგანტი, ფლობს და ამუშავებს 40 საწარმოს. რძის პროდუქტების 18 საწარმოს, 10 საცხობ ქარხანას, გასტრონომიული პროდუქტების 5 ქარხანას, 3 სასმელების ქარხანას, 2 ხორცის და 2 ყველიას მწარმოებელ ქარხანას, სადაც პროდუქცია სპეციალურად მისი მაღაზიებისათვის იწარმოება.



ნახ 14 -ა. ტრადიციული დისტრიბუციის სისტემა



ნახ 14 ბ. ვერტიკალური მარკეტინგული სისტემა



ნახ. 15 ტრადიციული დისტრიბუციის სისტემა

მთლიანობაში შპს „აგროლოგისტიკა“-ს მარკეტინგული სტრატეგია დაფუძნებულია შემდეგ ძირითად პრინციპებზე.

- მისი პოზიციონირებაა როგორც საწარმოსი, რომელიც პროდუქციის მაღალი ხარისხის საფუძველზე მოიპოვებს პარტნიორების ნდობას და დაამყარებს მასთან გრძელვადიან ურთიერთობას;
 - პერიოდულად ჩატარდება ბაზრის ანალიზი, ფასების კორექტირებისათვის, ამით უზრუნველყოფილი იქნება ერთის მხრივ გასაღების საჭირო დონე, მეორეს მხრივ მოგების მისაღები პროცენტი.
- კონკურენტული უპირატესობანი მდგომარეობს შემდგომში:
- უკეთესია ფასების ფაქტორი, პროდუქციის მიწოდება დროსა და ვადებში, მისი ხარისხიანი და სასაქონლო სახე;
 - კომპანიის მუშაკთა ცოდნა და გამოცდილება, როგორც მნიშვნელოვანი ხელმისაწვდომი ფაქტორი საბოლოო მიზნის წარმტებით განხორციელების საქმეში.

5.2 გაყიდვები

ისე როგორც სრულიად საქართველოში სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება აჭარის რეგიონშიც მწარმოებლის ორ ტიპზეა განაწილებული. პირველი - საოჯახო მეურნეობები, რომლის ხვედრითი წილი 85% - ს აღწვს და მეწარმეობის ფორმით ორგანიზებული მეურნეობები დაახლოებით 25 %- მდე. პირველ ფორმაში რეალურად „ნატურალური მეურნეობის“ გაგრძელება და თვით უზრუნველყოფისათვის გამიზნულ წარმოებასთან ერთად ნამეტი წარმოების რეალიზაციას გულისხმობს, როცა მეორე ფორმა მხოლოდ სარეალიზაციოდ განკუთვნილი პროდუქტის წარმოების გულისხმობს.

აჭარის სოფლის მეურნეობის მაშტაბების შეფასებისთვის შეიძლება გამოყენებული იქნას ქვემოთ მოყვანილი სტატისტიკური ინფორმაცია კერძოდ, აჭარაში სოფელში მცხოვრები მოსახლეობის რაოდენობა 150,000 ადამიანს, შეადგენს დაახლოებით 50,000 ოჯახი რომელთა განაწილება მუნიციპალიტეტების მიხედვით ასე გამოიყურება: ქობულეთი - 15.5 ათასი, ხელვაჩაური - 17.2 ათასი, ქედა - 5.1 ათასი, შუახევი, - 4.7 ათასი, ხულო - 7.5 ათასი. უფრო დაწვრილებით იხ. ცხრილი.

სასოფლო სამეურნეო სავარგულები რეგიონის მთლიანი ტერიტორიის (290.0 ათასი ჰა) 25.1%-ია და 72.9 ათას ჰექტარს შეადგენს; მოცემული 72,9 ათასი ჰექტარიდან სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკისა და მუნიციპალიტეტების საკუთრებაში რეგისტრირებულია 15,1 ათასი ჰექტარი, ფიზიკური პირებზე - 12,6 ათასი ჰექტარი, ხოლო 45.2 ათასი ჰექტარი - დაურეგისტრირებელია, თუმცა აქედან ნაწილი მოსახლეობის ფაქტობრივ სარგებლობაშია.

საშუალოდ ფერმერულ მეურნეობას აჭარაში უჭირავს 0.25 ჰექტარიდან 0.5 ჰექტარამდე ტერიტორია. ასეთი მეურნეობები სოფლის მეურნეობის სექტორის 68.1 %-ს შეადგენს.

დღევანდელი მდგომარეობით საოჯახო მეურნეობების მიერ წარმოებული ნამეტი პროდუქტის უმეტეს ნაწილს გაყიდვის პრობლემა გააჩნია. ეს რეალიზაციის არხებზე (საბითუმო და საცალო) შექმნილი მდგომარეობითაა განპირობებული.

რეალურად წლების განმავლობაში, ადგილობრივი გლეხი უფრო და უფრო კარგავდა წვდომას პროდუქტის რეალიზაციაზე. ფერმერსა და საბოლოო შემსყიდველს შორის გაჩნდა გადამყიდველის ინსტიტუტი, რომელიც სრულად ფლობს გაყიდვების არხებს გადამყიდველი ორიენტირებულია მაქსიმალურ მოგების მიღებაზე და ეს ბუნებრივია, დღეს - დღეობით, სასოფლო ბაზარზე ჩამოყალიბებული სისტემა, პრაქტიკაში ადასტურებს, რომ ასეთი ტიპის

გადამყიდველებს შორის არსებობს საკმაოდ მაღალი კოორდინაცია, რაც გადაულახავი ბარიერია ფერმერისთვის.

**აჭარაში წარმოებული რიგი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოცულობების
ტერიტორიული სტრუქტურა**

ცხრილი №19

№	პროდუქციის დასახელება	ერთეული	სულ აჭარა	ქობულეთი	ხელვაჩაური	ქედა	შუაზევი	ხულო	ქ. ბათუმი	შენიშვნა
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	
1	კარტოფილი	ტ	23598.5	2500.0	1431.6	2436.0	530.9	15600.0	1100.0	
2	პომიდორი	ტ	4930.7	1550.0	753.9	870.0	796.8	552.0	408.0	
3	კიტრი	ტ	4299.7	1150.0	544.0	1020.0	646.7	533.0	406.0	
4	სხვადასხვა ბოსტნეული	ტ	2374.8	850.0	408.0	246.4	467.0	306.4	97.0	
5	ფორთოხალი	ტ	1979.0	1500.0	250.0	0.0	0.0	0.0	229.0	
6	ლიმონი	ტ	1254.6	1050.0	134.0	0.0	0.0	0.0	70.6	
7	თესლოვნები (ვაშლი, მსხალი და სხვა)	ტ	4791.3	460.0	935.9	291.0	2142.5	791.9	170.0	
8	კურკოვნები (ტყემალი, ატამი, ბალი და სხვა)	ტ	2828.7	350.0	507.5	152.0	1278.2	371.0	170.0	
9	კაკლოვნები	ტ	4044.7	2950.0	667.4	130.2	198.7	4.0	94.4	
10	ხურმა	ტ	2695.8	1210.0	1019.0	356.8	0.0	0.0	110.0	
11	კივი	ტ	490.8	180.0	143.3	0.0	0.0	0.5	167.0	
12	ფეიჭოა	ტ	46.1	12	21.1	0.0	0.0	0.0	13.0	
13	ყურძენი	ტ	1845.6	310.0	240.9	797.6	292.1	60.0	145.0	
14	სხვა მრავალწლიანი კულტურების ნაყოფი (გარდა მანდარინისა)	ტ	580.0	430.0	130.0	0.0	0.0	0.0	20.0	
	ჯამი	ტ	55760.2	14502.0	7186.5	6300.0	6352.9	18218.8	3200.0	

გადამყიდველის გაბატონებას აგრარული ბაზარზე ხელი შეუწყო იმ ფაქტმა, რომ გამყიდველები სავაჭრო ადგილებს აწესებენ კონკრეტულ გადასახადს. ფერმერი, იმის გათვალისწინებით რომ ბაზარზე შეუძლია მხოლოდ სეზონურად/ (ფრაგმენტურად) დაიკავოს ეს ადგილი (ვინაიდან მისი მოსავალი და შესაბამისად ვაჭრობის საგანი სეზონურია და არ არის უწყვეტი წლის განმავლობაში)

კონკურენციას ვერ უწევს გადამყიდველს, რომელიც აგრარულ ბაზარზე ვაჭრობს უწყვეტად იმის წყალობით, რომ მას მიწოდების სამი წყარო აქვს:

- ა) იმპორტი;
- ბ) საქართველოს სხვა რეგიონებიდან შემოტანილი პროდუქცია;
- გ) ადგილობრივი წარმოება.

გადამყიდველი მოგების ყველაზე დიდ მარჟას იმპორტირებული პროდუქციის რეალიზაციიდან იღებს, ხოლო ყველაზე ნაკლებს ადგილობრივი წარმოების რეალიზაციიდან. სწორედ ეს არის განმაპირობებელი იმისა თუ რატომ რჩება ადგილობრივი წარმოება ხშირად ბაზარს მიღმა, ან მას მხოლოდ მაშინ მიმართავენ როდესაც წყვეტაა განსაკუთრებით ივლისი - აგვისტოს თვეებში საზღვარგარეთიდან იმპორტის ან სხვა რეგიონებიდან მიწოდების დროს. სასოფლო - სამეურნეო პროდუქტების განაწილება სეზონის მიხედვით, მოცემულია ცხრილში.

გადამყიდველის გაბატონებას რეალიზაციის სხვა საბითუმო ბიზნესოპერატორებზე ხელს უწყობს ის ფაქტიც, რომ ცალკე აღებული, ფერმერი ვერ აკმაყოფილებს სტაბილური შემსყიდველის (ისეთის როგორიცაა მარკეტები, კვების ობიექტები, სასატუმროები და სხვა) მოთხოვნებს სტაბილურ მიწოდებაზე და პროდუქტის ერთგვაროვნებაზე. ასევე სამეწარმეო უნარ ჩვევების ნაკლებობის გამო ვერ ახდენს სავაჭრო ოპერაციების მინიმალური დოკუმენტაციით უზრუნველყოფას.

პროექტის რეალიზაციამდე და შემდგომ პერიოდში დაგეგმილი ხილ-ბოსტნეულის დამზადებისა და რეალიზაციის მოცულობები უფრო დაწვრილებით მოცემულია ცხრილებში: 10, 11, 12, 13.

აჭარის რეგიონში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის ასორტიმენტი და რეალიზაციის პერიოდები

ცხრილი 20

№	პროდუქტის დასახელება	რაოდენობა (კგ)	რეალიზაციის პერიოდი (თვე)												გამოკითხულ ფერმერთა რა-ბა
			1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	
1	ქოლო	1200													3
2	მოცვი	3350													10
3	მარწყვი	2600													7
4	მალინა	700													2
5	სალათა	10100													5
6	მწვანე ხახვი	4100													2
7	ბულგარული	46990													49
8	მწვანელი	1950													8
9	ბადრიჯანი	500													2
10	ბოლოკი	1300													2
11	პომიდორი	27550													43
12	კიტრი	105820													67
13	კარტოფილი	460000													166
14	ნიგოზი	6140													24
15	თხილი	84080													101
16	ბალი	860													4
17	ყურძენი	19450													25
18	ლობიო (მწვანე)	4000													16
19	ლობიო (კაკალი)	8065													42
20	ტყემალი	29550													24
21	ვაშლი	73300													91
22	მსხალი	35250													45
23	ხურმა	29700													25
24	კივი	20100													13
25	ქლიავი	1900													6
26	ფეიხოა	2150													10
27	ნიორი	10500													10
28	სიმინდი	14650													46
29	კომბოსტო	1000													1
30	გოგრა	8400													10
31	თამბაქო	7645													32
32	წყავი	1000													1
33	წაბლი	2100													4
34	რძის ნაწარმი	26310													107
35	საქონლის ხორცი	20360													80
36	ქათმის ხორცი	5100													2
სულ		1077770													(სულ 387)*

წყარო: ადგილობრივი წარმოებული პროდუქციის ეალიზაციის ხელშეწყობა

ა(ა)იპ აგროპროექტების მართვის ცენტრი ბათუმი, 2017 წ.

**შპს „აგროლოგისტიკი“- ს მიერ აჭარის რეგიონში 2018 წელს დამზადებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია
(პროგნოზი)**

ცხრილი 21

#	დასახელება	რაოდენობები (ტონა)	მათ შორის თვეების მიხედვით									შენიშვნა
			აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13
1	კარტოფილი	7 552		1 259	1 259	1 259	1 259	1 259	1 259			
2	პომიდორი	1 578				526	526	526				
3	კიტრი	1 376			344	344	344	344				
4	ბოსტნეული	380							127	127	127	
5	ფორთოხალი	633								317	317	
6	ლიმონი	401							134	134	134	
7	თესლოვანი	1 533				383	383	383	383			
8	კურკოვანი	905			226	226	226	226				
9	კაკლოვანი	1 294						647	647			
10	ხურმა	863						288	288	288		
11	კივი	157							79	79		
12	ფეიხოია	15							7	7		
13	ყურძენი	591						591				
	ჯამი	17 279	0	1 259	1 829	2 738	2 738	4 264	2 923	951	577	

**შპს „აგროლოგისტიკი“- ს მიერ აჭარის რეგიონში 2019 წელს დამზადებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია
(პროგნოზი)**

ცხრილი 22

#	დასახელება	რაოდენობები (ტონა)	მათ შორის თვეების მიხედვით												შენიშვნა
			იან.	თებ.	მარ.	აპრ.	მაისი	ივნ.	ივლ.	აგვ.	სექტ.	ოქტ.	ნოემ.	დეკ	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	13
1	კარტოფილი	10 619					1 770	1 770	1 770	1 770	1 770	1 770			
2	პომიდორი	1 578							526	526	526				
3	კიტრი	1 935						484	484	484	484				
4	ბოსტნეული	534	178	178	178							178	178	178	
5	ფორთოხალი	533											267	267	
6	ლიმონი	401										134	134	134	
7	თესლოვანი	2 156							539	539	539	539			
8	კურკოვანი	905						226	226	226	226				
9	კაკლოვანი	1 294									647	647			
10	ხურმა	1 213									404	404	404		
11	კივი	221										111	111		
12	ფეიხოია	21										10	10		
13	ყურძენი	830									830				
	ჯამი	22 242	178	178	178	0	1 770	2 480	3 545	3 545	5 426	3 793	1 104	579	

შპს „აგროლოგისტიკი“- ს მიერ აჭარის რეგიონში 2018 წელს დამზადებული და რეალიზებულია სასოფლო-სამეურნეო

(პროდუქცია)

ცხრილი 23

#	დასახელება	რაოდენობები (ტონა)	მათ შორის თვეების მიხედვით									შენიშვნა
			აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13
1	კარტოფილი	5 440		909	906	906	906	906	906			
2	პომიდორი	1 184				395	395	395				
3	კიტრი	1 376			344	344	344	344				
4	ბოსტნეული	1 330							443	443	443	
5	ფორთოხალი	760								380	380	
6	ლიმონი	1 164							388	388	388	
7	თესლოვანი	3 373				843	843	843	843			
8	კურკოვანი	1 358			340	340	340	340				
9	კაკლოვანი	19 415						9 707	9 707			
10	ხურმა	694						231	231	231		
11	კივი	141							71	71		
12	ფეიხოია	13							7	7		
13	ყურძენი	1 064						1 064				
	ჯამი	37 312	0	909	1 590	2 828	2 828	13 830	12 597	1 520	1 211	

შპს „აგროლოგისტიკი“- ს მიერ აჭარის რეგიონში 2019 წელს დამზადებული და რეალიზებულია სასოფლო-სამეურნეო
(პროდუქცია)

ცხრილი 24

#	დასახელება	რაოდენობები (ტონა)	მათ შორის თვეების მიხედვით												შენიშვნა
			იან.	თებ.	მარ.	აპრ.	მაისი	ივნ.	ივლ.	აგვ.	სექტ.	ოქტ.	ნოემ.	დეკ	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16
1	კარტოფილი	7 646					1 274	1 274	1 274	1 274	1 274	1 274			
2	პომიდორი	1 184							395	395	395				
3	კიტრი	1 935						484	484	484	484				
4	ბოსტნეული	1 870	623	623	623							623	623	623	
5	ფორთოხალი	760											380	380	
6	ლიმონი	1 165										388	388	388	
7	თესლოვანი	4 744							1 186	1 186	1 186	1 186			
8	კურკოვანი	1 358						340	340	340	340				
9	კაკლოვანი	19 415									9 707	9 707			
10	ხურმა	971									324	324	324		
11	კივი	199										99	99		
12	ფეიხოია	19										9	9		
13	ყურძენი	1 064									1 064				
	ჯამი	42 328	623	623	623	0	1 274	2 098	3 678	3 678	14 773	13 612	1 824	1 392	0

5.3.წარმოება

პროექტის მიზნიდან გამომდინარე შპს „აგროლოგისტიკ“-ის სტრუქტურა შესძლებელია განხილული იქნას მხოლოდ როგორც ერთიანი სისტემა - აგრომოსახურების ცენტრებით რეგიონებში (ხუთივე მუნიციპალიტეტში) და ლოგისტიკური ცენტრით ქ. ბათუმში.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციის ალტერნატიული სისტემის შექმნის მიზნით მუნიციპალიტეტებში მოეწყობა და აღიჭურვება აგრომოსახურების ცენტრები (შენობა-ნაგებობები, მანქანა-დანადგარები, სატრანსპორტო საშუალება, კამერა მაცივრები და ა.შ) ხოლო ქალაქ ბათუმში - ლოგისტიკური ცენტრი (შენობა-ნაგებობები,კამერა მაცივრები, სატრანსპორტო საშუალება და ა.შ.

საწარმოების მოწყობა-აღჭურვის ღონისძიებების დაფინანსება განხორციელდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2017 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული 2 804 340 ლარის ფარგლებში.

აგრომოსახურების ცენტრების (5 ერთეული) მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აღჭურვილობა და მაკომპლექტებლები

ცხრილი 25

№	დასახელება	ერთეული	რაოდენობა	შენიშვნა
1	2	3	4	5
1	შენობა-ნაგებობა	მ²/რაოდენობა	5/1400	
2	ტექნოლოგიური ხაზი	კომპლექტი	5	
3	მაცივარ-კამერა	მ²	100	
4	ხილის საშრობი დანადგარი	კომპლექტი	3	
5	ექსტრუდორი	ცალი	2	
6	სათიბელა	ცალი	20	
7	სატრანსპორტო საშუალება	ცალი	5	
8	ჰიდრავლიკური შტაბელერი	ცალი	5	
9	ელექტრო სასწორი	ცალი	5	
10	პნევმატური ურიკა	ცალი	5	
11	პლატმასის ყუთი (25 კგ. ტევადობით)	ცალი	2500	
12	პლატმასის ყუთი (12 კგ. ტევადობით)	ცალი	1650	
13	ქვეში	ცალი	2000	
14	პალეტების შესაკრავი მასალა	ცალი	2500	
15	ეტიკეტირების მასალა	ცალა	20000	

ლოგისტიკური ცენტრი აღიჭურვება პროდუქციის ტრანსპორტირების, მიღების, დასაწყობებისა (შენახვის) და რეალიზაციისათვის საჭირო მატერიალურ ტექნიკური საშუალებებით, (იხ. ცხრილი 26).

ლოგისტიკური ცენტრის ძირითადი აღჭურვილობა და მაკომპლექტებლები

ცხრილი 26

№	დასახელება	ერთეული	რ-ბა	შენიშვნა
1	2	3	4	5
1	შენობა-ნაგებობა	მ²	335	
2	3 მაცივარ - კამერა	მ²	100	
3	სატვირთო სატრანსპორტო საშუალება	ცალი	2	
4	ელექტრო ტვირთ ამწე	ცალი	1	
5	ელექტრო სასწორი	ცალი	1	
6	პნევმატური ურიკა	ცალი	1	
7	პლატმასის ყუთი (25 კგ. ტევადობით)	ცალი	500	
8	პლატმასის ყუთი (12 კგ. ტევადობით)	ცალი	350	
9	ქვეში	ცალი	550	

წარმოებული პროდუქციის ფერმერული მეურნეობიდან მომსახურების ცენტრამდე ტრანსპორტირებას, ფერმერის შეტყობინების საფუძველზე, ახორციელებს მომსახურების ცენტრი ამ მიზნით ცენტრის სარგებლობაში არსებული სატრანსპორტო საშუალების მეშვეობით. ტრანსპორტირების ღირებულება შეიტანება მომსახურების ცენტრის მიერ გაწეული მომსახურებისათვის გაანგარიშებულ ღირებულებაში და გაითვალისწინება პროდუქციის მესაკუთრესა (ფერმერი, აგრომეწარმე) და მომსახურების ცენტრს შორის საბოლოო ანგარიშსწორების დროს.

პროდუქციის ტრანსპორტირება ყველა შემთხვევაში ხორციელდება ტრანსპორტირებისათვის განკუთვნილი ყუთების გამოყენებით. კერძოდ, ფერმერი ტექნოლოგიის მეთვალყურეობის ქვეშ ახდენს სარეალიზაციოდ ვარგისი პროდუქციის პირველად შერჩევას.

საქონლის ტრანსპორტირების დროს იწერება შიდა გადაზიდვის სასაქონლო ზედნადები, იმის შესაბამისად თუ რომელ ჯგუფს მიეკუთვნება საქონლის მესაკუთრე. აგრომომსახურების ცენტრს გააჩნია ერთიანი საინფორმაციო პროგრამული უზრუნველყოფა, რომელშიც ჩართულია ყველა აგრომომსახურების ცენტრი და ლოგისტიკის ცენტრი.

პროგრამის საშუალებით ხორციელდება აგრომომსახურების ცენტრში მომსახურების მიმღების რეგისტრირება პირადი ნომრით (ფიზიკური პირები) ან საიდენტიფიკაციო ნომრით (იურიდიული პირები), რომელიც შეიტანება ბაზაში.

მომხმარებელს სისტემა, შესაბამისი ჯგუფის მიხედვით (მომსახურების ცენტრის მომსახურებით მიკუთვნებულ მოსარგებლე სუბიექტის მიხედვით) ანიჭებს უნიკალურ

კოდს და ხსნის პირად ბარათს, სადაც აღირიცხება ყველა შემდგომი ურთიერთობების ამსახველი სრული ინფორმაცია.

მომსახურების ცენტრ(ებ)ში და ლოგისტიკურ ცენტრში განისაზღვრება პასუხიმგებელი პირები, რომლებიც უზრუნველყოფენ შესაბამისი ინფორმაციის შეტანას და დამუშავებას. აგრომომსახურების ცენტრში პროდუქციის მიტანის შემდგომ, მომსახურების გაწევის შესახებ ხელშკრულების შესაბამისად აგრომომსახურების ცენტრი ახდენს პროდუქციის დახარისხება-შეფუთვას.

დახარისხებულ და შეფუთულ პროდუქციას უკეთდება ეტიკეტირება, სადაც მითითებულია თარიღი, პროდუქციის დასახელება, შეფუთვის წონა, მუნიციპალიტეტი, პროდუქციის წარმოების ადგილი (სოფელი), პროდუქციის მწარმოებელი სახელი, გვარი ან იურიდიული პირი.

წუნდებული პროდუქციის გადარჩევა ხდება პროდუქციის დახარისხებისა და შეფუთვის პროცესში. იმ შემთხვევაში თუ აგრომომსახურების ცენტრში დასაწყობების შემდეგ პროდუქციის დაწუნება (გაფუჭება) გამოწვეულია მომსახურების ცენტრის მიზეზით, პროდუქციის მესაკუთრეს უნაზღაურდება პროდუქციის საბაზრო ღირებულება.

აგრომომსახურების ცენტრიდან ლოგისტიკურ ცენტრში პროდუქციის ტრანსპორტირებას ახორციელებს ლოგისტიკური ცენტრი, განსაზღვრული პერიოდულობით. ამასთან, აგრომომსახურების ცენტრთან შეთანხმებით მალფუჭებადი პროდუქციის ტრანსპორტირება-რეალიზაციის უზრუნველყოფა ხდება გონივრულ ვადაში.

აგრომომსახურების ცენტრიდან ლოგისტიკურ ცენტრამდე საქონლის ტრანსპორტირების დროს იწერება შიდა გადაზიდვის სასაქონლო ზედნადები, იმის შესაბამისად თუ რომელ ჯგუფს მიეკუთვნება საქონლის მესაკუთრე. ლოგისტიკის ცენტრი პროდუქციის წარმატებით რეალიზაციის მიზნით აღჭურვილია შესაბამისი ელექტრონული პროგრამით, სადაც აღრიცხულია რეგიონში და რეგიონს გარეთ ფუნქციონირებადი სარეალიზაციო ობიექტები - „მყიდველები“ (მარკეტი, კვების ობიექტები, სასტუმრო, აგრარულ ბაზარზე რეალიზატორები და სხვ.)

პროგრამა ქსელური პრინციპით დაკავშირებულია ბაზაში რეგისტრირებულ მყიდველებთან, რომელთაც განსაზღვრული უფლებებით პროგრამაში მუშაობის წვდომა აქვთ. კერძოდ, დაათვალიერონ ლოგისტიკის ცენტრის საწყობში განთავსებული პროდუქცია, ფასები, ადგილწარმოშობის დასახელებით და მესაკუთრის მითითებით.

მყიდველებს საშუალება ექნებათ პროგრამის საშუალებით გამართონ მოლაპარაკება, ლოგისტიკის ცენტრის უფლებამოსილ წარმომადგენელთან ე.წ. online რეჟიმში მოლაპარაკება, პროდუქციის შეძენის თაობაზე. ასევე, ამავე პროგრამის საშუალებით,

ლოგისტიკის ცენტრი უშუალოდ აგზავნის ინფორმაციას მყიდველებთან პერსონალურად - ოფერტი.

მომსახურების ცენტრებში დახარისხებული და შეფუთული პროდუქციის რეალიზაცია ხორციელდება ლოგისტიკური ცენტრის მიერ. წინასწარი გაანგარიშებით ლოგისტიკის ცენტრში სარეალიზაციოდ გამზადებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის წლიური ბრუნვა 11 ათას ტონას აღემატება. ლოგისტიკის ცენტრი, შესაბამისი მომსახურების გაწევის მიზნით, აღჭურვილია სასაწყობო შენობებით. კერძოდ, 200 მ²-ზე მოწყობილია მშრალი სასაწყობო მეურნეობა, ხოლო 100 მ²-ზე - სამი მაცივარ კამერა.

სამაცივრე და მშრალ სასაწყობო მეურნეობებში წლიური ტვირთგამტარობა არის შემდეგი:

- ა. 100 მ² ფართობზე მოწყობილი სამაცივრე კამერებში სასრგებლო ფართი სადაც შესაძლებელია განთავსდეს პროდუქცია არის 80 მ², ხოლო 200 მ² მშრალ საწყობისათვის განკუთვნილ ფართობზე ტვირთის დასაწყობება შესაძლებელია 110 მ²-ზე;
- ბ. პალეტის ზომა, რაზედაც იდგმება ყუთები და სადაც მოთავსებულია პროდუქცია არის $1 \times 1.2 = 1.2$ მ², რაზედაც შესაძლებელია განთავსდეს 0.8 ტონა პროდუქცია;
- გ. სამაცივრე კამერებში (80 მ² -ზე) განთავსდება 67 პალეტი, რაზედაც სულ განთავსდება $67 \times 0.8 = 54$ ტონა პროდუქცია;
- დ. ანალოგიური გაანგარიშებით მშრალ საწყობში შესაძლებელია განთავსდეს $(130 \times 0.8) = 104$ ტონა პროდუქცია;
- ე. სულ ლოგისტიკის ცენტრის სამაცივრე კამერებში და მშრალ საწყობში ერთჯერადად შესაძლებელია 158 ტონა პროდუქციის დასაწყობება;
- ვ. ლოგისტიკის სისტემის გამართული ფუნქციონირების შემთხვევაში, პროდუქციის საწყობებში გაჩერების დრო არ უნდა აღემატებოდეს 5 კალენდარულ დღეს. შესაბამისად, საწყობში ტვირთბრუნვის ჯერადობა საშუალოდ $365/5 = 73$ იქნება;
- ზ. სულ წლის განმავლობაში ლოგისტიკის ცენტრის სასაწყობო მეურნეობაში ტვირთბრუნვის მაჩვენებელი იქნება, საშუალოდ $158 \times 73 = 11534$ ტონა.

ამდენად, ადგილობრივი წარმოების პროდუქციის რეალიზაციის ალტერნატიული სისტემა, წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებული პირობებით უზრუნველყოფს წლის განმავლობაში 10-12 ათასი ტონა ადგილობრივი წარმოების სოფლის მეურნეობის პროდუქციის დახარისხება, შეფუთვა და რეალიზაციასთან დაკავშირებული მომსახურების გაწევას

6.ორგანიზაციული სტრუქტურა და მენეჯმენტი

წინამდებარე თავში ხდება კომპანიის ფუნქციონირებისათვის საჭირო თანამდებობათა დაზუსტება და სახელფასო სარგოების შერჩევა. თანამდებობა ორგანიზაციის საშტატო ერთეულია. იგი არის მართვის სტრუქტურის პირველადი ელემენტი, რომლისთვისაც განსაზღვრულია მომუშავეს უფლებები, მოვალეობანი და პასუხისმგებლობა კომპეტენციის საზღვრებში და მისი სამართლებრივი მდგომარეობა.

მუშაკებისა და სამუშაოს შეერთების წესების განსაზღვრით ხორციელდება ორგანიზაციის ფორმირება. როგორც წესია შრომის დანაწილება ორგანიზაციაში ხორციელდება ორი მიმართულებით: სამუშაოთა სტადიების მიხედვით, რომელსაც ჰორიზონტალურ სპეციალიზაციასაც უწოდებენ და იერარქიული დონეების მიხედვით ანუ ვერტიკალური სპეციალიზაცია. ორგანიზაციის ფუნქციონირებისათვის საწყის ეტაპზე უპირატესობა პირველს უნდა მიენიჭოს.

მომსახურების ცენტრის საშტატო განრიგი

ცხრილი 27

№	თანამდებობათა ჩამონათვალი	საშტატო ერთეული	სახელფასო სარგო (ლარი)	ბელფასის ფონდი		შენიშვნა
				თვის (ლარი)	წლის (ლარი)	
1	2	3	4	5	6	7
1	ცენტრის მენეჯერი	1	1100	1100	13200	
2	ტექნოლოგი	1	1000	1000	12000	
3	ბუღალტერი	1	600	600	7200	
4	მძღოლი	1	500	500	6000	
5	მუშა	2	500	1000	12000	
	ჯამი	6		4200	50400	

ლოგისტიკური ცენტრის საშტატო განრიგი

ცხრილი 28

№	თანამდებობათა ჩამონათვალი	საშტატო ერთეული	სახელფასო სარგო (ლარი)	ხელფასის ფონდი		შენიშვნა
				თვის (ლარი)	წლის (ლარი)	
1	2	3	4	5	6	7
1	ცენტრის მმართველი	1	1500	1500	18000	
2	დისტრიბუტორი	2	1000	2000	24000	
3	ტექნოლოგი	1	1000	1000	12000	
4	ბუღალტერი	1	600	600	7200	
5	მძღოლი	1	500	500	6000	
6	მუშა	2	500	1000	12000	
	სულ	8		6600	79200	

7. რისკების შეფასება და მართვა

ყოველ ბიზნეს-ინიციატივას თან სდევს ჯგუფი რისკ-ფაქტორებისა, რომელთა იგნორირების შემთხვევაში ბიზნეს სუბიექტები შესაძლებელია საკმაოდ სერიოზული პრობლემის წინაშე აღმოჩნდნენ და შემდგომში მათ მოგვარებას უდიდიდესი ძალისხმევა და საკმაოდ სერიოზული სახსრები დასჭირდეს.

იმისთვის, რომ ბიზნესი და მისი სუბიექტები არ აღმოჩნდნენ გაუთვლელი და მოულოდნელი სიტუაციების წინაშე, აუცილებელია საქმიანობის ყველა ეტაპის ზუსტი ანალიზი, მოსალოდნელი ხელისშემშლელი ფაქტორების გამოვლენა და მათი დაძლევის გზების წინანსწარი შესწავლა, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი იქნება აღნიშნული ფაქტორების თავიდან აცილება.

ყოველ კონკრეტულ ბიზნეს ინიციატივას სპეციფიკური ხელის შემშლელი ფაქტორები სდევს თან. მათი მრავალფეროვნება, ხშირ შემთხვევაში განაპირობებს აუცილებლობას გავაცალკაოთ ცნებები „რისკი“ და „გაურკვევლობა“.

გაურკვევლობა წარმოადგენს ფაქტორების არსებობას, რომლის დროსაც, მოქმედების შედეგები არ გვევლინება დეტერმინირებულად (ანუ, რომლის შესახებაც გაგვაჩნია სრული და ზუსტი ინფორმაცია), ხოლო ამ ფაქტორების შესაძლებელი გავლენის ხარისხი შედეგზე უცნობია; რეალურად ეს არის არასრული და/ან არაზუსტი ინფორმაცია პროექტის რეალიზაციის შესახებ.

გაურკვევლობის ფაქტორები იყოფა გარეგან და შინგან ფაქტორებად. გარეგანი ფაქტორებია: კანონმდებლობა, ბაზრის რეაქცია გამოშვებულ პროდუქციაზე, კონკურენტების მოქმედება და სხვა. შინგანი ფაქტორებია -ფირმის პერსონალის კომპეტენტურობა, შეცდომები პროექტის დამახასიათებელი ნიშნების განსაზღვრაში და სხვა.

რისკის ქვეშ იგულისხმება პირობების წარმოქმნის ალბათობა, რაც იწვევს პროექტის ყველა ან ცალკეული მონაწილისათვის ნეგატიურ შედეგებს. თუმცა მიიჩნევენ, რომ მოცემული განსაზღვრება სრულად არ ასახავს რისკის ცნებას.

რისკისა და გაურკვევლობის ფაქტორების გავლენა იწვევს იმას, რომ საინვესტიციო პროექტის შედგენილობა და მისი ეფექტიანობის შეფასების მეთოდები არსებითად იცვლება. პროექტის ძირითადი განსხვავება, რომლებიც შემუშავებული და შეფასებულია გაურკვევლობის გათვალისწინებით, არის მათი რეალიზაციის პირობები და შესაბამისი დანახარჯები. ამასთან მათი. შედეგები ზუსტად არ არის ცნობილი.

რისკი საკმაოდრთულ და მრავალსპექტიან კატეგორიას მიეკუთვნება. შემთხვევითი არ არის, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში მოყვანილია რისკის ათეულობითი სახეობა. კლასიფიკაციის მიმართ განსხვავებული მიდგომები უმრავლეს შემთხვევაში შეიძლება

ავხსნათ კლასიფიკაციის მიზნებისა და ამოცანების სხვადასხვაობებით. თუმცა მთელ რიგ შემთხვევებში, მზგავსი კლასიფიკაციური ნიშნების არსებობის დროსაც კი წარმოდგენლია განსხვავებული, ზოგჯერ საწინააღმდეგო კრიტერიუმები, რომლებიც მიეკუთვნებიან ამა თუ იმ ჯგუფის რისკებს.

წარმოშობის წყაროების თვალთახედვიდან გამომდინარე, რისკები იყოფა სისტემურად (მაკროეკონომიკური) და არასისტემურად (მიკროეკონომიური).

სისტემური რისკები განისაზღვრება გარე გარემოებებით, არ არის დამოკიდებული სუბიექტზე და ჩვეულებრივ არ რეგულირდება მათ მიერ. მას მიეკუთვნება:

- ქვეყნის რისკი;
- ფორს-მაჟორული გარემოებების რისკი;

ქვეყნის რისკი უშუალოდაა დამოკიდებული ბიზნესის ინტერნაციონალიზაციასთან. იქ აქტიურია საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ყველა მონაწილისათვის და დამოკიდებულია ქვეყნის პოლიტიკურ - ეკონომიკურ სტაბილურობაზე. თავად ეს რისკი იყოფა ეკონომიკურ და პოლიტიკურ რისკება.

ეკონომიკური რისკი შეიძლება გამოწვეული იყოს ქვეყნის ეკონომიკურ სფეროში მნიშვნელოვანი არაკეთილსასურველი ცვლილებების არსებობით. ქვემოთ მოყვანილია ეკონომიკური რისკის ძირითადი ფაქტორები, რომლებსაც ითვალისწინებენ უცხოელი ინვესტორები განსაზღვრულ ქვეყნებში მუშაობის დაწყებამდე:

- ეკონომიკის მაშტაბი;
- ეკონომიკური ზრდის რელური ტემპი;
- გადასახადების განაკვეთები;
- ინფლაციის დონე;
- საგარეო ვალი;
- საგადასახადო ბალანსი;
- რეფენასირების განაკვეთი;
- შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე და სხვ.

პოლიტიკური რისკი, როგორც წესი დამოკიდებულია ქვეყანაში პოლიტიკური სიტუაციის ცვლილებებთან. პოლიტიკურ რისკებს მიეკუთვნება:

- პოლიტიკური ძვრების შესაძლებლობა;
- სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის გაურკვევლობა;
- ქვეყნის კანონმდებლობაში არასასურველი ცვლილებების განვითარების შესაძლებლობა;
- გეოპოლიტიკური რისკები;
- სოციალური რისკები და სხვ.

აღსანიშნავია, რომ ზემოთმოცემული რისკები მჭიდრო კორელაციაშია ერთმანეთთან და უნდა განვიხილოთ ერთმანეთის ურთიერთ კავშირში (როგორც ერთიანი ქვეყნის რისკი).

არასისტემური რისკები დამახასიათებელია კონკრეტული სუბიექტისათვის, დამოკიდებულია მის მდგომარეობაზე და განისაზღვრება მისი კონკრეტული სპეციფიკით. საჭიროა ამ რისკის მართვა. განვიხილოთ მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი.

საქმესთან დაკავშირებული რისკი - რისკი, რომელიც განისაზღვრება კომპანიის დარგობრივი სპეციფიკით;

დაფინანსების რისკი - აუცილებელი ფულადი საშუალებების არსებობის რისკი პროექტის განხორციელების პროცესში; აგრეთვე დაკრედიტების და პირდაპირი ინვესტირების პირებების ცვლილებების რისკი;

ტექნიკური რისკი - რისკი, რომელიც გამოწვეულია შეცდომებით დაპროექტებაში არჩეული ტექნოლოგიების უკმარისობით, კვალიფიციური მუშა ძალის უკმარისობით, ნედლეულზე ან ენერგიაზე ფასის მომატებით და სხვ.

მარკეტინგული რისკი - ბაზრის გამოკვლევის დაბალი დონის რისკი.

სუსტი მართველობის რისკი;

ლიკვიდურობის რისკი - რისკი, რომელიც დაკავშირებულია აქტივების სწრაფად გაყიდვის უუნარობასთან.

ისევე, როგორც წინა შემთხვევაში ზემოთ ჩამოთვლილი რისკები იმყოფებიან ერთმანეთთან ურთიერთკავშირში, რის გამოც, ერთ მათგანში განვითარებული ცვლილებები იწვევს მეორე მათგანში ცვლილებებს, რაც გავლენას ახდენს საპროექტო საქმიანობის შედეგებზე. ეს ყველაფერი განაპირობებს რისკების აღრიცხვასა და ანალიზის აუცილებლობასა და საჭიროებას.

რისკის შეფასების ზოგადი თანმიმდევრობა ტიპურია და შეიცავს შემდეგ მოქმედებებს. ქვემოთ მოყვანილი ალგორითმი იქნა გამოყენებული წინამდებარე პროექტის ანალიზისას.

- ა. რისკის მიზეზებისა და წყაროების გამოვლენა, აგრეთვე ამ ეტაპებისა და სამუშაოების რომლის შესრულების დროსაც ვითარდება რისკი.
- ბ. ყველა შესაძლებელი რისკის იდენტიფიკაცია, რომლებიც დამახასიათებელია განსახილველი პროექტისათვის;
- გ. ცალკეული რისკებისა და მთლიანად პროექტის რისკის დონეების შეფასება, რომელიც განსაზღვრავს მის ეკონომიკურ მიზანშეწონილობას;

დ. რისკის დასაშვები დონის განსაზღვრა;

ე. რისკის შესამცირებლად ღონისძიებების შემუშავება.

წინამდებარე პროექტის სისტემურ რისკებს მიეკუთვნება:

- **რისკი წარმოშობილი:** სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციის ალტერნატიული სისტემის კონცენტრაციის შედეგად მოპოვებული დომინირებულ მდგომარეობასთან, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს რეგიონში ეფექტიანი კონკურენციის არსებითი შემზღუდვა.

რისკის მართვა: ბაზარზე არსებული მდგომარეობის შესწავლა-ანალიზი და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისი ღონისძიებების გატარება;

- **რისკი:** სოფლის მეურნეობის პროდუქციის პირველადი მწარმოებლების (გლეხები, ფერმერები, აგრომეწარმეები) სკეპტიციზმი სიახლის მიმართ.

რისკის მართვა: სწორი კომუნიკაცია გლეხებთან, ფერმერებთან, მეწარმე სუბიექტებთან (მოსახლეობასთან შეხვედრები, კონკრეტული მაგალითები განვითარებულ ქვეყნებში ანალოგიური სისტემების შედეგიანობაზე).

- **რისკი:** სისტემაში შემავალი ორგანიზაციების (მომსახურების ცენტრები, ლოგისტიკის ცენტრი) პერსონალთა დაბალი კვალიფიკაცია და არასაკმარისი მენეჯერული უნარ-ჩვევები.

რისკის მართვა: პერსონალთა გადამზადება, ტრენინგები სხვადასხვა ქვეყნების შედეგების გცნობა.

- **რისკი:** მომსახურების ან/და ლოგისტიკის ცენტრებში პროდუქციის დაზიანება გაფუჭება.

რისკის მართვა: კვალიფიციური ტექნოლოგების მომზადება; სასაწყობე მეურნეობების გამართული ფუნქციონირება; პროდუქციის შენახვის პერიოდის შემცირება (სწრაფი რეალიზაცია); წინასწარი რეალიზაციის სისტემის დანერგვა (მყიდველებისაგან პროდუქციაზე შეკვეთები).

7. ფინანსური ანალიზი

სტაჟიან, წარმატებულ მეწარმეებს ისევე შეიძლება ჰქონდეს თავიანთი საქმიანობის დაფინანსების გაზრდის პრობლემები როგორც ახალბედებს. უმრავლესი პრობლემა ფინანსების ძიების გზებზე ნაკლებად გამოკვეთილი საბაზრო ორიენტაციაა. ამ კონკრეტულ შემთხვევაში „საბიუჯეტო მხარდაჭერის პრობლემაში“ კომპანიამ შეძლო დაეძლიათ ეს წინააღმდეგობა. ძირითადი ხარჯების წილი კომპანიის კაპიტალიზაციის მაღალი ხარისხის მიღწევაზე იხარჯება (იხ. ცხრილი 29) რაც გარკვეულწილად აქტივების მაღალ ლიკვიდურობაზე მიუთითებს. წინასწარი გაანგარიშებებით პროექტის საბიუჯეტო დაფინანსება შეადგენს 2,804,340.00 ლარს.

როგორც ზემოთ ითქვა შპს „აგროლოგისტიკ“ - ის საქმიანობა, საწყის ეტაპზე მაინც, შიდა ბაზრის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად გამიზნული, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ოგანიზაციის აღჭურვილების დონე, წარმოების ორგანიზაციის გაზრდის შესაძლო მაშტაბები: ექსპორტზე საქმიანობის ყველა პირობებს ქმნის.

საბაზისო და ე.წ. „საველე კვლევების“ მოპოვებულ მაჩვენებლებზე დაყრდნობით შემუშავებული საპროგნოზო სცენარები. საფინანსო გათვლებისას, უპრატესობა მიეცა „ოპტიმალური“ (შეჯერებულ ვარიანტს) პროგნოზს - არა პესიმისტურს არამედ ოპტიმისტურს. საბაზისო ფინანსური გაანგარიშებები მოცემულია ცხრილებში 29; 30; 31; 32.

შპს „აგროლოგისტიკი“- ს მოწყობილობებისა და მაცომპლექტების უწყისი

ცხრილი 29

#	დასახელება	პროდუქტები			შენიშვნა
		რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)	
1	2	3	4	5	6
2	პროდუქციის შემფუთავ - დამხარისხებელი დანადგარების კომპლექტი, მონტაჟი და ტექნიკური დახმარება (ტრენინგი) (ხულოს და შუახევის მუნიციპალიტეტი)	2	77,000	154,000	
3	ბოსტნეულის/პროდუქციის დამუშავებისა და შემფუთავი ხაზი, მონტაჟი და ტექნიკური დახმარება (ტრენინგი),	3	90,000	270,000	
4	ქობულეთის აგრომომსახურებისა ცენტრის შენობა-	1	178,880	178,880	
5	ხელვაჩაურის აგრომომსახურების და ლოგისტიკური	1	398,244	398,244	
6	ქედის აგრომომსახურების ცენტრის შენობა-ნაგებობა	1	245,555	245,555	
7	შუახევის აგრომომსახურების ცენტრის შენობა-ნაგებობა	1	252,605	252,605	
8	ლოგისტიკურ ცენტრში სამაცივრე მეურნეობების	1	150,000	150,000	
9	ხულოს, შუახევის ქედის და ხელვაჩაურის აგრომომსახურების ცენტრებისათვის სამაცივრე კამერის მოწყობა, მონტაჟი	4	60,000	240,000	
10	ექსტრუდორი	2	25,000	50,000	
11	საშრობი კარადა კონვექციური ტიპის	2	25,000	50,000	
12	სატრანსპორტო საშუალება	6	30,000	180,000	
13	სატრანსპორტო საშუალება (რეფრეკერატორით	1	41,800	41,800	
14	მოტობლოკი სათიბელათი	20	3,200	64,000	
15	ელექტრო სასწორი	6	1,800	10,800	
16	ელექტრო ტვირთამწე	1	60,000	60,000	
17	ჰიდრავლიკური შტაბელერი	5	3,000	15,000	
18	პნევმატური ურიკა	1	1,000	1,000	
19	25 კგ-იანი პლასტმასის ყუთი	3,000	6.5	19,500	
20	12 კგ-იანი პლასტმასის ყუთი	2,000	1.6	3,200	
21	ქვეში	2,000	20	40,000	
22	პალეტების შესაკრავი მასალა (1 ტონის კომპლექტი)	3,000	6	18,000	
23	პროდუქციის ეტიკეტირება	300,000	0.03	9,000	
24	პროდუქციის შესაფუთი მასალა - ბადე ტომრები კარტოფილისა და ბოსტნეულისათვის	200,000	0,18	36,000	
25	პროდუქციის შესაფუთი მასალა - პოლისტიროლის	150,000	0,06	9,000	
26	პროდუქციის შესაფუთი მასალა - სასურსათო ფირი	50,000	0,059	3,000	
	ჯამი			2 499 584	

შპს „აგროლოგისტიკის“ მოგება - ზარალის უწყისი 2018წ.

ცხრილი 30

#	დასახელება	სულ ათასი ლარი	მათ შორის თვეების მხედვით									შენიშვნა
			აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	
1	2	3	7	8	9	10	11	12	13	14	15	16
	შემოსავლები											
1	სასოფლო -სამეურნეო პროდუქციის რეალიზაცია	37 313 000	0	909 000	1 590 000	2 828 000	2828000	13 830 000	12 597 000	1 520 000	1 211 000	
2	სხვა შემოსავლები	4 479 000	0	109000	191000	340000	340000	1660000	1512000	182000	145000	
	შემოსავლები სულ:	41 792 000	0	1 018 000	1 781 000	3168000	3168000	3168000	14109000	1 702 000	1 356 000	
	დანახარჯები											
3	ნედლეულის შეძენა	19400000	0	2425000	2425000	2425000	2425000	2425000	2425000	2425000	2425000	
4	ტარა და შესაფუთი მასალები	174600	0	21825	21825	21825	21825	21825	21825	21825	21825	
5	ეტიკეტი	58200	0	7275	7275	7275	7275	7275	7275	7275	7275	
6	წყალი, ელექტროენერგია	188000	300	23462,5	23462,5	23462,5	23462,5	23462,5	23462,5	23462,5	23462,5	
7	სატრანსპორტო ხარჯები	77000	0	9625	9625	9625	9625	9625	9625	9625	9625	
8	საწარმოო პერსონალის ხელფასი	153000	17000	17000	17000	17000	17000	17000	17000	17000	17000	
9	გაუთვალისწინებელი -პირდაპირი	63000	7000	7000	7000	7000	7000	7000	7000	7000	7000	
	სულ საოპერაციო ხარჯი	20113800	24300	2511187,5	2511187,5	2511188	2511188	2511188	2511188	2511187,5	2511187,5	
10	ადმინისტრაციის ხელფასი	95400	10600	10600	10600	10600	10600	10600	10600	10600	10600	
11	სარეკლამო დასაკომუნიკაციო ხარჯები	36000	4000	4000	4000	4000	4000	4000	4000	4000	4000	
12	საოფისე ხარჯი	12600	1400	1400	1400	1400	1400	1400	1400	1400	1400	
13	გადასახადები	7522560	0	183240	320580	570240	570240	2788200	2539620	306360	244080	
14	გაუთვალისწინებელი -არაპირ	31050	3450	3450	3450	3450	3450	3450	3450	3450	3450	
	სულ ხარჯი	27811410	43750	2713877,5	2851217,5	3100878	3100878	5318838	5070258	2836997,5	2774717,5	
	საბალანსო მოგება	13 980 590	-43 750	-1 695 878	-1 070 218	67 123	67 123	10171163	9 038 743	-1 134 998	-1 418 718	
	მოგების გადასახადი	2097088,5	-6563	-254381,6	-160532,6	10068,4	10068,4	1525674	1355811	-170249,6	-212807,63	
	წმინდა მოგება	11 883 502	-37 188	-1 441 496	-909 685	57 054	57 054	8 645 488	7 682 931	-964 748	-1 205 910	

შპს „აგროლოგისტიკის“ მოგება - ზარალის უწყისი 2018 - 2019 წწ.

ცხრილი 31

#	დასახელება	2018 წელი	2019 წელი	შენიშვნა
1	2	3	4	5
	შემოსავლები			
1	სასოფლო -სამეურნეო პროდუქციის რეალიზაცია	37 313 000	42 328 000	
2	სხვა შემოსავლები	4 479 000	6349000	
	შემოსავლები სულ:	41 792 000	48 677 000	
	დანახარჯები			
3	ნედლეულის შეძენა	19400000	22000000	
4	ტარა და შესაფუთი მასალები	174600	542000	
5	ეტიკეტი	58200	72500	
6	წყალი, ელექტროენერგია	188000	250000	
7	სატრანსპორტო ხარჯები	77000	875000	
8	საწარმოო პერსონალის ხელფასი	153000	153000	
9	გაუთვალისწინებელი -პირდაპირი	63000	58000	
	სულ საოპერაციო ხარჯი	20113800	23950500	
10	ადმინისტრაციის ხელფასი	95400	95400	
11	სარეკლამო დასაკომუნიკაციო ხარჯები	36000	48000	
12	საოფისე ხარჯი	12600	17000	
13	გადასახადები	7522560	9735400	
14	გაუთვალისწინებელი -არაპირ	31050	40000	
	სულ ხარჯი	27811410	33886300	
	საბალანსო მოგება	13 980 590	14 790 700	
	მოგების გადასახადი	2097088,5	2218605	
	წმინდა მოგება	11 883 502	12 572 095	

შპს „აგროლოგისტიკის“ ნაღდი ფულის მიმოქცევის უწყისი 2018 წ.

ცხრილი 32

	I Tve	II Tve	III Tve	IV Tve	V Tve	VI Tve	VII Tve	VIII	IX Tve	X Tve	XI Tve	XII Tve	სულ
fuli periodis dasawwisSi (A)	2804340	304756	304756	304756	261006	-1434872	-2505089	-2437967	- 2370844	7800319	16839061	15704064	
fuladi saxsrebis Semodineba:													
				0	0								
სასოფლო -სამეურნეო პროდუქციის რეალიზაცია				0	909 000	1 590 000	2 828 000	2 828 000	13 830 000	12 597 000	1 520 000	1 211 000	37 313 000
სხვა შემოსავლები				0	109 000	191 000	340 000	340 000	1 660 000	1 512 000	182 000	145 000	4 479 000
შემოსავლები სულ:	2804340	0	0	0	1 018 000	1 781 000	3 168 000	3 168 000	15 490 000	14 109 000	1 702 000	1 356 000	41 792 000
Bfuladi saxsrebis შემოღინება sul (B)				0									
<i>ფულადი სახსრების გაღინება</i>													
1. აგროლოგისტიკის მატერიალურ ტექნიკური ბაზის დაკომპლექტება	2499584												
2. ნედლეულის შეძენა				0	2425000	2425000	2425000	2425000	2425000	2425000	2425000	2425000	19400000
3. ტარა და შესაფუთი მასალები				0	21825	21825	21825	21825	21825	21825	21825	21825	174600
4. ეტკეტი				0	7275	7275	7275	7275	7275	7275	7275	7275	58200
5. წყალი და ელექტროენერგია				300	23462,5	23462,5	23462,5	23462,5	23462,5	23462,5	23462,5	23462,5	188000
6. სატრანსპორტო ხარჯები				0	9625	9625	9625	9625	9625	9625	9625	9625	77000
7. ხელფასი				27600	27600	27600	27600	27600	27600	27600	27600	27600	248400
8. გაუთვალისწინებელი და არაგაუთვალისწინებელი ხარჯები				10450	10450	10450	10450	10450	10450	10450	10450	10450	94050
9. სარეკლამო სა დაკომუნიკაციო				4000	4000	4000	4000	4000	4000	4000	4000	4000	36000
10. საოფისე ხარჯი				1400	1400	1400	1400	1400	1400	1400	1400	1400	12600
11. გადასახადები				0	183240	320580	570240	570240	2788200	2539620	306360	244080	7522560
10 fuladi saxsrebis gadineba sul (C)	2499584	0	0	43750	2713878	2851218	3100878	3100878	5318838	5070258	2836998	2774718	27811410
fuli periodis bolos (A+B-C)	304756	304756	304756	261006	- 143487 2	- 250508 9	- 243796 7	- 237084 4	780031 9	1683906 1	1570406 4	1428534 6	13980590

SWOT-ანალიზი

შიდა გარემო	
ძლიერი მხარეები - Strengths	სუსტი მხარეები - Weaknesses
• სამთავრობო მხარდაჭერა; • გამართული კომუნიკაცია ადგილობრივ მოსახლეობასთან; • სტრატეგიული გეგმის გაზიარება და გააზრება; • მაღალი დონის მენეჯმენტის მხარდაჭერა; • სრულყოფილი მომსახურების პაკეტი; • ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების წარმოება.	• პროექტის მონაწილეთა ნაკლები მოტივაცია; • არასაკმარისი ფინანსური რესურსები. • საზოგადოების არასათანადო ინფორმირებულობა • სარეკლამო კამპანიის ნაკლებად გამოყენება.
გარე ფაქტორები	
შესაძლებლობები - Opportunities	საფრთხეები რისკები - Threats
• მოვლენების მიმართ ოპერატიულად ზემოქმედების შესაძლებლობა; • კადრების პროფესიული ზრდა • სახელმწიფოს მხრიდან, სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა; • ახალი ბაზრების ათვისება საქართველოს მამულებით ასევე საზღვარგარეთ	• ბუნებრივი კატაკლიზმებით გამოწვეული სტიქიური მოვლენები; • მთავრობის მიერ არასამეწარმეო პოლიტიკის გატარება; • ქვეყნის ეკონომიკური განვითარების შეფერხება; • კონკურენციის გამკაცრება